ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი **05 ივლისი, 2021 წ.**

ერთი მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** (შემდეგში, **„გამყიდველი“**), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურიდიული მრჩევლის, ნინო შათირიშვილის (პ/ნ 20001062904) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2021 წლის 22 იანვარს გაცემული №4/1398 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში და

მეორე მხრივ, **შპს „თბილისი დრაი პორტ“ (ს/ნ 405375589)** (შემდეგში, **„მყიდველი“**), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ნემსაძის (პ/ნ 01026010171) სახით, შემდეგში თითოეული წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანების, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „თბილისი დრაი პორტისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 05 აპრილის №534 განკარგულებისა და „მყიდველის” მიერ 2021 წლის 02 ივლისს (სააგენტოში რეგისტრაციის №75161/04) წარმოდგენილი წერილის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „გამყიდველი“ გადასცემს, ხოლო „მყიდველი“ საკუთრებაში იღებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ დანართით განსაზღვრულ უძრავ ქონებას (შემდეგში, „ქონება“), „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

1.2. „მყიდველი“ ადასტურებს, რომ იგი ინფორმირებულია სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის II სამმართველოს მიერ 07.06.2021 წელს წარდგენილი №MIA 5 21 01431602 (სააგენტოში რეგ. №61612/04; თარიღი: 07.06.2021წ.) წერილით წარდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, „ქონების“ „ხელშეკრულების“ ხელმოწერისას არსებული მდგომარეობა მისთვის ცნობილია, იღებს „ქონებას“ იმ სახით, რა სახითაც არის და აცხადებს/ადასტურებს, რომ „ქონების“ მდგომარეობა ხელს არ შეუშლის „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, ასევე, არ ექნება შემდგომი რაიმე სახის პრეტენზია „ქონების“ მდგომარეობასთან დაკავშირებით „გამყიდველის“ მიმართ.

მუხლი 2. „მხარეთა“ განცხადებები

2.1. „მყიდველისთვის“ ცნობილია, რომ „ქონების“ ნაწილი დატვირთულია სერვიტუტის უფლებით (01.19.33.015.192 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე - 2074 კვ.მ; 01.19.33.015.219 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე - 1040 კვ.მ; 01.19.33.016.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე - 217 კვ.მ და 01.19.33.019.126 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე - 1679 კვ.მ, საიდანაც 650 კვ.მ მიწის ნაკვეთი დატვირთულია სერვიტუტის უფლებით 01.19.33.015.089 კოდის სასარგებლოდ) და აღნიშნულზე „გამყიდველის“ მიმართ რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.

2.2. „მყიდველისთვის“ ცნობილია, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (ს/ნ 203826002) 2019 წლის 2 სექტემბრის №OG19-0305289 (სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის №91710/04, 03.09.2019 წ.) და 2021 წლის 1 მარტის №OG21-0488340 (სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის №20502/04, 02.03.2021) წერილების თაობაზე, რომელთა თანახმად, „ქონებაზე“ გაედინება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ბალანსზე რიცხული წყალარინების და წყალსადენის ქსელები, ასევე, ცნობილია, სს „თელასის“ (ს/ნ 202052580) 2019 წლის 12 აგვისტოს №0812/169/19 (სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის №85825/04, 15.08.2019) წერილის თაობაზე, რომლის თანახმად, „ქონებას“ კვეთს სს „თელასის“ ელექტროგადამცემი ხაზი და აღნიშნულზე „გამყიდველის“ მიმართ რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.

მუხლი 3. საპრივატიზებო თანხა და მისი გადახდის წესი

3.1 „მყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს საპრივატიზებო თანხის 1 (ერთი) ლარის გადახდა „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

3.2 საპრივატიზებო თანხის გადახდა „მყიდველის“ მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

სალარე ანგარიში:
ანგარიშის დასახელება (მიმღები): სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო”
ანგარიშის ნომერი: GE50BG0000000655067100 / ანგარიშის ვალუტა: ლარი
მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი”; მიმღები ბანკის კოდი: №BAGAGE22

3.3 საპრივატიზებო თანხა გადახდილად ჩაითვლება მისი „გამყიდველის“ ანგარიშზე ასახვის მომენტიდან.

3.4 „მყიდველმა“ საპრივატიზებო თანხის გადახდისას უნდა მიუთითოს „ხელშეკრულების“ ამ პუნქტში გათვალისწინებული ერთ-ერთი რეკვიზიტი იმგვარად, რომ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით დგინდებოდეს თანხის გადახდის მიზნობრიობა:

1. ხელშეკრულების გაფორმების თარიღი;
2. მხარის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი;
3. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი.

3.5 ხელშეკრულების 3.2. მუხლში მითითებული საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, „გამყიდველი“ წერილობით აცნობებს „მყიდველს“.

მუხლი 4. „მხარეთა“ უფლება-მოვალეობები

4.1. „მყიდველი“ ვალდებულია:

4.1.1 „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან არაუმეტეს 48 (ორმოცდარვა) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, უზრუნველყოს №01.19.33.015.120, №01.19.33.015.195, №01.19.33.015.194, №01.19.33.015.050, №01.19.33.015.192, №01.19.33.015.219 და №01.19.33.015.094 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ან მათ ნაწილზე არანაკლებ 3000 (სამი ათასი) ერთეული კონტეინერის, ასევე, არანაკლებ 6 000 (ექვსი ათასი) ტონა მშრალი ტვირთის შენახვაზე გათვლილი სასაწყობო/ლოგისტიკური ცენტრის/მეურნეობის (რომელიც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) ღია ან/და დახურული ტიპის საწყობ(ებ)ს, №01.02.118, №01.02.513, №01.02.119, №01.02.208 და №01.01.699 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობების რეაბილიტაციას) შექმნა, შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება და სასაწყობო/ლოგისტიკური ცენტრის/მეურნეობის ფუნქციონირების დაწყება;

4.1.2 „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან არაუმეტეს 60 (სამოცი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, უზრუნველყოს №01.19.33.016.065, №01.19.33.019.126, №01.19.33.015.095 და №01.19.33.015.093 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ან მათ ნაწილზე არანაკლებ 20 000 (ოცი ათასი) ტონა მშრალი ტვირთის შესანახად გათვლილი სასაწყობო/ლოგისტიკური ცენტრის/მეურნეობის (რომელიც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) ღია/ნახევრად ღია ან/და დახურული ტიპის საწყობ(ებ)ს, №01.01.698 და №01.01.700 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობების რეაბილიტაციას) შექმნა, შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება და სასაწყობო ცენტრის/მეურნეობის ფუნქციონირების დაწყება;

4.1.3 „ხელშეკრულების“ 4.1.1 და 4.1.2 მუხლებში მითითებული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს არანაკლებ 27 000 000 (ოცდაშვიდი მილიონი) ლარის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) ინვესტიციის განხორციელება. ამასთან, ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, ზუსტდება, რომ ამ მუხლის შესაბამისად გაწეულ ინვესტიციად მიიჩნევა „ხელშეკრულების“ 4.1.1 და 4.1.2 მუხლებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით გაწეული კაპიტალიზებადი ხარჯი. ამასთანავე, მანქანა-დანადგარების/მოწყობილობების შეძენის მიზნით გაწეული ხარჯები, განსახორციელებელ ინვესტიციაში ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამისი მანქანა-დანადგარები/მოწყობილობები განთავსებული/არსებითად დაკავშირებული იქნება „ხელშეკრულების“ 4.1.1 და 4.1.2 მუხლებით გათვალისწინებულ შესაბამის უძრავ ქონებასთან;

4.1.4 „ხელშეკრულების“ 4.1.1 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, ამავე მუხლით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა „გამყიდველს“ წარუდგინოს „ხელშეკრულების“ 5.4. მუხლით განსაზღვრული აუდიტორული დასკვნა;

4.1.5 „ხელშეკრულების“ 4.1.2 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, ამავე მუხლით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა „გამყიდველს“ წარუდგინოს „ხელშეკრულების“ 5.4. მუხლით განსაზღვრული აუდიტორული დასკვნა;

4.1.6 „ხელშეკრულების“ 4.1.3 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, „ხელშეკრულების“ 4.1.1 მუხლით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა და შემდეგ 4.1.2 მუხლით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა „გამყიდველს“ წარუდგინოს „ხელშეკრულების“ 5.4. მუხლით განსაზღვრული აუდიტორული დასკვნა;

4.1.7 „გამყიდველის“ მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, „გამყიდველს“ წარუდგინოს ინფორმაცია „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ. ამასთან, ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, ზუსტდება, რომ „გამყიდველისათვის“ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება „მყიდველს“ ეკისრება „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, „გამყიდველის“ მიერ სრულად დადასტურებამდე.

4.1.8 დაფაროს „ქონებაზე“ საკუთრების უფლების და „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდეგში - „საჯარო

რეესტრი") რეგისტრაციის, აგრეთვე, „ხელშეკრულების" გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯ(ებ)ი;

4.2. „გამყიდველი" ვალდებულია „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაადასტუროს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების მიღება, რაც „საჯარო რეესტრში" შესაბამისი ვალდებულების მოხსნის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

მუხლი 5. „ხელშეკრულების" განსაკუთრებული პირობები

5.1 „მყიდველს" „ქონებაზე" საკუთრების უფლება გადაეცემა „ხელშეკრულების" გაფორმების და საკუთრების უფლების „საჯარო რეესტრში" რეგისტრაციის მომენტიდან. ამასთან, „ქონებაზე" საკუთრების უფლება „მყიდველს" გადაეცემა „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

5.2„ქონებაზე" საკუთრების უფლებასთან ერთად „საჯარო რეესტრში" რეგისტრირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულება.

5.3 „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის" მიერ მათი შესრულების წერილობით დადასტურების მომენტიდან.

5.4 „ხელშეკრულების" 4.1.1, 4.1.2 და 4.1.3 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურება განხორციელდება შესაბამისი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს რწმუნებას შესაბამისი ვალდებულების შესრულების თაობაზე და გაცემული უნდა იყოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული აუდიტორული ფირმის მიერ.

5.5 „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში „მყიდველის" მიერ „ქონების" გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი" ვალდებულია „ქონება" ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო „ხელშეკრულებით". ახალი მესაკუთრე სრულად ჩაენაცვლება „მყიდველს" „ხელშეკრულებაში". ამასთან, „ქონების" გასხვისებამდე ახალი მესაკუთრის მიერ „გამყიდველს" უნდა წარედგინოს შესაბამისი საბანკო გარანტია. „ქონების" გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს".

5.6 „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ „ქონების“ ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი“ ვალდებულია ქონების ნაწილი ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებით“. ასეთ შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე „მყიდველთან” ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. ამასთან, „ქონების“ ნაწილობრივ გასხვისებამდე „გამყიდველს“ უნდა წარედგინოს შესაბამისი საბანკო გარანტია, რომლითაც „მყიდველთან“ ერთად პრინციპალად განსაზღვრული იქნება ახალი მესაკუთრე ან შესაბამისი გარანტის წერილობითი დასტური, რომ საბანკო გარანტიის საფუძველზე „გამყიდველის“ (ბენეფიციარის) მიერ მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, „მყიდველის“ (პრინციპალის) სოლიდარული პასუხისმგებლობის მიუხედავად, გარანტი შეასრულებს „გამყიდველის“ (ბენეფიციარის) მოთხოვნას სრულად. „ქონების“ ნაწილის გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს“.

5.7 „მყიდველი“ უფლებამოსილია „გამყიდველის“ წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების მიზნით, იპოთეკით დატვირთოს „ქონება“. ამასთან, „ქონების“ იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში, იპოთეკარის მიმართ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული ქონების იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეალიზაციისას (მიუხედავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა) ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მყიდველის“ ვალდებულებები.

5.8 „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდამდე, „მყიდველს“ არ აქვს უფლება „ქონება“ ან მისი მაწილი გაასხვისოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს „ხელშეკრულების“ 5.7. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა.

5.9 „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველს“ უფლება არ აქვს „გამყიდველთან“ შეთანხმების გარეშე „ქონება“ გასცეს სარგებლობაში ან სხვაგვარად დატვირთოს.

5.10 „მყიდველი“ არ თავისუფლდება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებლობისაგან „ხელშეკრულებით“ ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების შესასრულებლად გამოყენებული მესამე პირ(ებ)ის იმ ქმედებ(ებ)ისათვის, რამაც გამოიწვია აღნიშნული ვალდებულებების დარღვევა.

მუხლი 6. საბანკო გარანტია

6.1. „მყიდველის“ მიერ წარმოდგენილი სს „თიბისი ბანკის“ (ს/კ 204854595) მიერ 2021 წლის 05 ივლისს გაცემული №7483011-11491436 საბანკო გარანტია (შემდეგში, „საბანკო გარანტია“), მისი მოქმედების პერიოდში უზრუნველყოფს „ხელშეკრულების“ 3.1; 4.1.1; 4.1.2 და 4.1.3 მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის, მათი შეუსრულებლობისათვის „ხელშეკრულების“ საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას.

6.2. „მყიდველი“ ვალდებულია „საბანკო გარანტიის“ თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში, 1 (ერთი) თვის ვადაში შეავსოს იგი მის სრულ ოდენობამდე.

6.3. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შედეგად „გამყიდველის“ მხრიდან, „ხელშეკრულების“მუხლის შესაბამისად „ხელშეკრულების“ მოშლის შემთხვევაში „საბანკო გარანტიის“ თანხა სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში.

მუხლი 7. „მხარეთა” პასუხისმგებლობა და „ხელშეკრულების” შეწყვეტა

7.1. „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველი” იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა (რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების (მათ შორის, პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი მოქმედი საბანკო გარანტიის ვადას), პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების შესახებ და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნეს გადახდილი.

7.2. „ხელშეკრულების“ 3.1. მუხლით განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3. „ხელშეკრულების“ 4.1.1. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 300 (სამასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.4. „ხელშეკრულების“ 4.1.2. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 300 (სამასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.5. „ხელშეკრულების“ 4.1.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის თანხის 0,05%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.6. „ხელშეკრულების“ 4.1.4 – 4.1.6 მუხლებით განსაზღვრული თითოეული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.7. „ხელშეკრულების“ 4.1.7 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების თითოეულ ჯერზე შეუსრულებლობის შემთხვევაში „მყიდველს“ ეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

7.8. „ხელშეკრულების“ 6.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო საბანკო გარანტიის შესავსები თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.9. „მყიდველის” მიერ „ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, „გამყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს „ხელშეკრულება“.

7.10. „ხელშეკრულების“ ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, „ქონება“ ბრუნდება სახელმწიფო საკუთრებაში. „მყიდველს“ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები, ხოლო „ქონებაზე“ რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება.

7.11. „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მყიდველს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება „გამყიდველის“ ან „მყიდველის” კონტროლის ფარგლებს და შესაბამის „მხარეს“ არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა, თავიდან

აცილება და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის. „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის ფორს-მაჟორული გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მოვლენით.

8.2. „მხარე”, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, აცნობოს მეორე „მხარეს” ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მხარე” კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ „მხარის” მიერ „ხელშეკრულებით” განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში „მხარეების” მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

8.4. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

8.5. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, „მხარეები” უფლებამოსილნი არიან განიხილონ „ხელშეკრულების” შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 9. შეტყობინებები

9.1. ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა „მხარეებს“ შორის უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

9.2. „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის, „მხარეთა“ რეკვიზიტებია:

9.2.1 „გამყიდველის“ შემთხვევაში:

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. №49ა, ქ. თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 298 11 11 / +995 32 299 11 11

9.2.2 **„მყიდველის“ შემთხვევაში:**

შპს „თბილისი დრაი პორტ“

მისამართი: ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის 23-23ა

ტელ: +995 577 448 777

9.3. „მყიდველი“ ვალდებულია, შეატყობინოს „გამყიდველს“ მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, „გამყიდველის“ მიერ „მყიდველის“ ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება, ჩაითვლება ჩაბარებულად.

9.4. „ხელშეკრულების“ 9.3. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, თუ ზედიზედ ორჯერ ვერ მოხდება „გამყიდველის“ მიერ „მყიდველის“ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარება, კორესპონდენცია ჩაითვლება „მყიდველისათვის“ ჩაბარებულად მისი „გამყიდველისათვის“ ხელმეორედ დაბრუნების დღიდან.

მუხლი 10. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

10.1 „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 „მხარეთა“ შორის დავის არსებობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. სხვა დებულებები

11.1 „ხელშეკრულებაში“ ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა დასაშვებია მხარეთა წერილობითი თანხმობით, „ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის გზით, რომლისთვისაც დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებისთვის“.

11.2 „ხელშეკრულების“ ყველა ცვლილება/დამატება და/ან დანართი წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.

11.3 სათაურები „ხელშეკრულებაში“ მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და არ იქონიებს ზემოქმედებას რაიმე სახით მოცემული პირობების ინტერპრეტაციაზე.

11.4 „ხელშეკრულება“ გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა „მხარეებს“ და „საჯარო რეესტრს“.

11.5 „ხელშეკრულება“ გაფორმებულად ითვლება „მხარეთა“ მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„გამყიდველი“	„მყიდველი“
სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“	შპს „თბილისი დრაი პორტ“
წარმომადგენელი: ნინო შთირიშვილი ნინო შთირიშვილი	წარმომადგენელი: ნინო ნემსაძე ნინო ნემსაძე
ნ. შთირიშვილი	ნ. ნემსაძე

დანართი:

N	საკადასტრო კოდი	მისამართი და დასახელება
1	01.19.33.015.192	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა N 37-ში მდებარე 27798 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 (ნანგრევი), N2 (მიწისქვეშა ნაგებობა) შენობა-ნაგებობები
2	01.19.33.015.194	ქალაქი თბილისი, რქაწითელის ქუჩა N9, ქალაქი თბილისი, რქაწითელის ქუჩა, N11, ქალაქი თბილისი, რქაწითელის ქუჩა N13-ში მდებარე 69606 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 (ნანგრევი), N2 (ნანგრევი), N3 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობები
3	01.19.33.015.195	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა N 37-ში მდებარე 73445 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1, N2, N3(ნანგრევი), N4, N5, N6(ნანგრევი), N7, N8(ნანგრევი) შენობა-ნაგებობები

4	01.19.33.015.120	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე მდებარე 5787 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1, N2 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობები
5	01.19.33.015.050	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 3631 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა
6	01.19.33.015.219	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 15181 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობა
7	01.19.33.016.065	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 65179 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1, N2(ავზი), N3, N4, N5,

		N6(ავზი), N7(ავზი), N8(ავზი), N9, N10, N11(ავზი), N12(ნანგრევი), N13(ნანგრევი), N14(ნანგრევი), N15(ნანგრევი), N16(მიწისქვეშა), N17(ავზი), N18, N19(მიწისქვეშა) შენობა-ნაგებობები
8	01.19.33.019.126	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 21625 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4, N5, N6 (ავზი), N7 (ავზი), N8 (ავზი), N9 (ნანგრევი), N10 (მიწისქვეშა), N11 (მიწისქვეშა), N12 (მიწისქვეშა), N13 (ავზი), N14 (ნაგებობა), N15 (ნანგრევი), N16 (მიწისქვეშა), N17 (მიწისქვეშა), N18 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობები
9	01.19.33.015.093	ქალაქ თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 38 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი

10	01.19.33.015.094	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 98 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
11	01.19.33.015.095	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 1169 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
12	01.02.118	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 538 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა (რკინიგზის ლიანდაგი)
13	01.02.513	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 137.5 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა (რკინიგზის ლიანდაგი)
14	01.02.119	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 416 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა (ლიანდაგი)
15	01.02.208	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 140.68 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა (რკინიგზის ლიანდაგი)

16	01.01.699	ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 26 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა (რკინიგზის ჩიხი)
17	01.01.698	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 316 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა (რკინიგზის ჩიხი)
18	01.01.700	ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 10 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა (რკინიგზის ჩიხი)

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№534 2021 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „თბილისი დრაი პორტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს შპს „თბილისი დრაი პორტს“ (ს/ნ: 405375589).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 48 (ორმოცდარვა) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, №01.19.33.015.120, №01.19.33.015.195, №01.19.33.015.194, №01.19.33.015.050, №01.19.33.015.192, №01.19.33.015.219 და №01.19.33.015.094 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ან მათ

ნაწილზე არანაკლებ 3000 (სამი ათასი) ერთეული კონტეინერის, ასევე არანაკლებ 6 000 (ექვსი ათასი) ტონა მშრალი ტვირთის შენახვაზე გათვლილი სასაწყობო/ლოგისტიკური ცენტრის/მეურნეობის (რომელიც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) ღია ან/და დახურული ტიპის საწყობ(ებ)ს, №01.02.118, №01.02.513, №01.02.119, №01.02.208 და №01.01.699 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობების რეაბილიტაციას) შექმნა, შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება და სასაწყობო/ლოგისტიკური ცენტრის/მეურნეობის ფუნქციონირების დაწყება;

გ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 60 (სამოცი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, №01.19.33.016.065, №01.19.33.019.126, №01.19.33.015.095 და №01.19.33.015.093 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ან მათ ნაწილზე არანაკლებ 20 000 (ოცი ათასი) ტონა მშრალი ტვირთის შესანახად გათვლილი სასაწყობო/ლოგისტიკური ცენტრის/მეურნეობის (რომელიც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) ღია/ნახევრად ღია ან/და დახურული ტიპის საწყობ(ებ)ს, №01.01.698 და №01.01.700 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობების რეაბილიტაციას) შექმნა, შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება და სასაწყობო ცენტრის/მეურნეობის ფუნქციონირების დაწყება;

დ) ამ პუნქტის „ბ“-„გ“ ქვეპუნქტებში მითითებული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით, არანაკლებ 27 000 000 (ოცდაშვიდი მილიონი) ლარის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) ინვესტიციის განხორციელება.

3. შპს „თბილისი დრაი პორტმა“ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს ამ განკარგულების

მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინვესტიციის თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით და რომელიც უზრუნველყოფს ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულებას (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).

4. ეთხოვოს სს „საქართველოს რკინიგზას“ (ს/ნ: 202886010), ამ განკარგულების გამოცემიდან არა უმეტეს 3 (სამი) თვის ვადაში შპს „თბილისი დრაი პორტთან“ (ს/ნ: 405375589) შეთანხმების გაფორმება, რომელიც, მათ შორის, შეეხება შპს „თბილისი დრაი პორტის“ მიერ სს „საქართველოს რკინიგზისათვის“ №01.04.581, №01.04.582, №01.02.512, №01.04.578, №01.04.704 და №01.04.145 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობების რეაბილიტაციის განხორციელებისათვის საჭირო თანხის გადაცემასა და ამავე თანხის სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ შპს „თბილისი დრაი პორტისათვის“ გასაწევი ადგილობრივი მომსახურების ღირებულებაში გაქვითვას.

5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

	განკარგულების დანართი	
N	საკადასტრო კოდი	მისამართი და დასახელება
1	01.19.33.015.192	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა N 37-ში მდებარე 27798 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 (ნანგრევი), N2 (მიწისქვეშა ნაგებობა) შენობა-ნაგებობები
2	01.19.33.015.194	ქალაქი თბილისი, რქაწითელის ქუჩა N9, ქალაქი თბილისი, რქაწითელის ქუჩა, N11, ქალაქი თბილისი, რქაწითელის ქუჩა N13-ში მდებარე 69606 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 (ნანგრევი), N2 (ნანგრევი), N3 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობები
3	01.19.33.015.195	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა N 37-ში მდებარე 73445 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1, N2, N3(ნანგრევი), N4, N5, N6(ნანგრევი), N7, N8(ნანგრევი) შენობა-ნაგებობები

4	01.19.33.015.120	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე მდებარე 5787 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1, N2 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობები
5	01.19.33.015.050	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 3631 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა
6	01.19.33.015.219	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 15181 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობა
7	01.19.33.016.065	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 65179 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1, N2(ავზი), N3, N4, N5, N6(ავზი), N7(ავზი), N8(ავზი), N9, N10, N11(ავზი), N12(ნანგრევი),

		N13(ნანგრევი), N14(ნანგრევი), N15(ნანგრევი), N16(მიწისქვეშა), N17(ავზი), N18, N19(მიწისქვეშა) შენობა-ნაგებობები
8	01.19.33.019.126	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 21625 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1, N2, N3, N4, N5, N6 (ავზი), N7 (ავზი), N8 (ავზი), N9 (ნანგრევი), N10 (მიწისქვეშა), N11 (მიწისქვეშა), N12 (მიწისქვეშა), N13 (ავზი), N14 (ნაგებობა), N15 (ნანგრევი), N16 (მიწისქვეშა), N17 (მიწისქვეშა), N18 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობები
9	01.19.33.015.093	ქალაქ თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 38 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
10	01.19.33.015.094	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 98 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი

11	01.19.33.015.095	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 1169 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
12	01.02.118	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 538 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა (რკინიგზის ლიანდაგი)
13	01.02.513	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 137.5 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა (რკინიგზის ლიანდაგი)
14	01.02.119	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 416 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა (ლიანდაგი)
15	01.02.208	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 140.68 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა (რკინიგზის ლიანდაგი)
16	01.01.699	ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 26 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა (რკინიგზის ჩიხი)
17	01.01.698	ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 316 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა

		(რკინიგზის ჩიხი)
18	01.01.700	ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე, N37-ში მდებარე 10 გრძივი მეტრი ხაზოვანი ნაგებობა(რკინიგზის ჩიხი)

KA021729422911921

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა

ტელ: (+995 32)2 98 11 11

info@naop.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia

Tel: (+995 32)2 98 11 11

info@naop.gov.ge

N4/59832

21 / სექტემბერი / 2021 წ.

შპს „თბილისი დრაი პორტ - ინვესტმენტს“ (405375589)
მის: თბილისი, აბაშელის ქ. 17
ტელ: 577 448 777

თქვენი 2021 წლის 17 სექტემბრის №001/09 განცხადების (სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“) რეგისტრაციის ნომერი 109496/ფ) პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტო არ არის წინააღმდეგი მოახდინოთ სააგენტოსა და შპს „თბილისი დრაი პორტ - ინვესტმენტს“ (405375589) შორის 2021 წლის 5 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) თანახმად გადმოცემული უძრავი ქონების ნაწილის (ს/კ 01.19.33.015.120, ს/კ 01.19.33.015.195, ს/კ 01.19.33.015.194, ს/კ 01.19.33.015.050, ს/კ 01.19.33.015.192, ს/კ 01.19.33.015.219 და ს/კ 01.19.33.015.094) გასხვისება. ხელშეკრულების 5.6 მუხლის თანახმად, ქონების გასხვისების შემთხვევაში, ქონება ახალ მესაკუთრეზე უნდა გასხვისდეს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით. ამასთან, ქონების შემძენი შპს „თბილისი დრაი პორტ - ინვესტმენტთან“ ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

წინამდებარე თანხმობა ძალაშია მას შემდეგ, რაც სააგენტოში წარმოადგენთ ხელშეკრულების 4.1.3 მუხლით გათვალისწინებული საინვესტიციო თანხის 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას, რომელშიც პრინციპალად შპს „თბილისი დრაი პორტ - ინვესტმენტთან“ ერთად განისაზღვრება ქონების შემძენიც ან შესაბამისი გარანტის წერილობითი დასტური, რომ საბანკო გარანტიის საფუძველზე სააგენტოს (ბენეფიციარის) მიერ მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, მყიდველის (პრინციპალის) სოლიდარული პასუხისმგებლობის მიუხედავად, გარანტი შეასრულებს სააგენტოს მოთხოვნას სრულად. შეგახსენებთ, რომ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 4 თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 4.1.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადას და უნდა უზრუნველყოფდეს ხელშეკრულების 4.1.1, 4.1.2 და 4.1.3 მუხლებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებასა და/ან ამავე ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული

ხელმოწერილია
მტკიცებულია
ელექტრონულად

ლევან დათაშვილი